კლდე

№ 6

21 ღვინობისთვე 1912 წ.

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ.,—5 მან. ამა 1912 წლ. დამლევამდე—1 მან., 50 კაპ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და ლიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა ყოველ დღე 11—1 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. №3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

სარჩევი: მეთაური. დიმიტ. ეიფეიან.პოლიტ.კრედო **ა—ისა.** დ. ეიფეიანის ბესოფნას— **მეგობარისა.** ქართული ენა და დ. ეიფეიანი. ვისი ბრალია?—**დ. კახელისა.** ბ. ტერ-გრიგორიანცი **X-ისა.** ტელეფონი ქარი—**ი.გრიშაშვილისა** სასრჩევნო სტილი — **ფარსმან-ფარუხისა.** ბულგარეთი—**გარეშესა.** ეტურნელ დე-კონსტანის წერილი. ბალკანეთის სახელმწიფოთა სოფმარი ძალები. ნაგთის სამეფო.—**ალ.—ნ-ისა.** სეტყვასთან ბრძოლა. სათეატრო ქრონიკა.

თბილისი. 21 ღვინობისთვე 1912 წ.

ყველგან უნდა ჩვენ დავიგვიანოთ, ყველგან ჩვენ უნდა პირში ჩალა გამოგვავლონ. ეს თითქმის ბედისწერად გადაგვექცა ქართველობას.

ერთად-ერთი მნიშვნელოვანი, კულტურულ-ეკონომიური საქმე, თითქო კეთილად დავაბოლოვეთ და ეროვნული ხასიათი მივეცით—კახეთის რკინის გზას მოგახსენებთ—ეს ისიც იმისთანა განსაცდელშია ჩვენი უთაურობით, რომ ლამის ხელიდან გამოგვაცალონ. შემდეგ უფრო საფუძვლიანად და დაწვრილებით განვიხილავთ ამ გზის აურაცხელ მნიშვნელობას და მისი ბედის უკეთესობას გავაცნოთ მკითხველს, მაგრამ ეხლავე ყველასათვის **საზოგადოთ** ცხადია, ყველა მიხვდება, ამ გზის ეროვნულ ხასიათის საფასურს.

გიორგობის თვის დასაწყისში კახეთის რკინის გზის სააქციონერო საზოგადოებამ უნდა საბოლოოდ გადასწყვიტოს ამ გზის ბედი (როგორც გვამცნობს „სახ. გაზ". ფურცლებზედ დიმ. ჩოლოყაშვილი, ერთი უმთავრესი მონაწილეთაგანი საქმისა)—დარჩება იგი განცალკევებულად და ჩვენს სრულს განკარგულებაში, თუ გაერთიანდება სილნაღ-ბაქოს გზასთან და ხელიდან გამოგვეცლება ყოველი უფლება მისი სვე-ბედის წარმოებისა.

ყოვლად უვიცი უნდა იყვეს ადამიანი, რომ ვერ წარმოიდგინოს ის განუზომელი განსხვავება, რომელიც არსებობს ამ ორ საკითხთა შორის; და ეროვნულ ალღოს ყოვლად მოკლებული, რომ მიეკედლოს ამ საკითხის მეორენაირად გადაჭრას. **კახეთის რკინის გზა უნდა დავიხსნათ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, სილნაღ-ბაქოს გზის ჩაყლაპვისაგან.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველი თანაგრძნობა საზოგადოებისა, ქართველ ხალხისა, რომელიც გამოიწვია კახ. რკ. გზის გაყვანამ,—ფუჭად დარჩება და ინიციატორებს მძიმე დანაშაულად დააწვებათ ასეთი „უკეთესი დატრიალება" საქმისა.

სილნაღ-ბაქოს გზის თანხაში გათქვეფით კახეთის რკინის გზას დაეკარგება ის განსაკუთ-

რებული მნიშვნელობა, რომელიც მას ექნებოდა ჩვენთვის, როგორც დამოუკიდებელ შტოს, რადგან აქციების უმრავლესობის შეძენით, ჩვენ შევიძენთ მართველობის უფლებას, ამას კი მრავალი შედეგი მოსდევს. მარდა ყველა იმ მოგებისა და ეკონომიურ-კულტურულ მნიშვნელობისა, რომელიც ექნება კახ.რკ.გზას **ყოველ შემთხვევაში** ჩვენი ხალხი, მკვიდრი მცხოვრებნი, თუ გზის პატრონები ვიქნებით, იშოვის მუდმივს სამუშაოს, თავისუფალი სპეციალური ძალები განიწვრთნებიან **პრაქტიკულ** მუშაობაში და დიდი მაშტაბის მეურნეობა, თავისი ყოველმხრივობით, ერთ-ერთ აზარმაცად გადაიქცეოდა ჩვენი წინსვლისა.

ამიტომ ყოველმაშეგნებულმა ქართველმა შეგნებულად უნდა გაუწოდოს ხელი ერთმანეთს და ამ გზის დახსნისათვის თავი გამოიდოს.

დიმიტრი ყიფიანი

დიმიტრი ყიფიანის პოლიტიკური კრედო

23-ს ამ თვისას სრულდება ოცდახუთი წელიწადი, რაც დიმიტრი ყიფიანი ვერაგულად მოკლულ იქმნა. სტავროპოლში მომხდარი ტრაგედია დღესაც საიდუმლოებით არის მოცული. მაგრამ ამ დიდ ადამიანის ნაძალადევ სიკვდილს გამოძიება არ ეშვრება. მისი სიკვდილის უმთავრესი მიზეზი თვით ჩვენს ცხოვრებაშია გამონასკვული. საქართველო რომ ბედნიერი ყოფილიყო, დიმიტრი ყიფიანს ვერავინ მოჰკლავდა. მაგრამ ისიც კი სათქმელია, საქართველო რომ სულ გათახსირებული ყოფილიყო, მაშინ საჭიროც არ იქნებოდა მისი სიკვდილი, ეი მთელი ახსნა, მთელი განმარტება, მთელი გამოძიება ამ მკვლელობისა. ჩამომავლობისათვის ესეც საკმაოა!

დიმიტრი ყიფიანი საქართველოს უდიდესი პატრიოტი იყო. ჩვენ გვინდა სწორედ ამ სიტყვით შევამკოთ მისი ხსენება. ნაპოლეონი უდიდესი იმპერატორი იყო, მაგრამ მის სულს, მის არსებას უდიდესი მხედართმთავარის სახელი უფრო შვენოდა. მას რომ იმპერატორობა სდომებოდა მარტო, იგი მახვილს გვერდზე მოიდებდა და საკმაო ძალა და დიდება ჰქონდა, რომ მართლა „ღვთაებრივ კეისრად“ ეცხოვრა! მაგრამ მასში, ამ ღვთაებრივ კეისარში, მხედართმთავრის სული იდგა და ის არ ასვენებდა.

დიმიტრი ყიფიანი დიდის ცოდნით და ნიჭით შეიარაღებული საზოგადო მოღვაწე იყო. მაგრამ მას რომ მარტო საზოგადო მოღვაწეობა სდომოდა, ამისთვის საკმაო მაღალი მდგომარეობა და ძალა ჰქონდა, რომ თავისი სიცოცხლე შედარებით უზრუნველად გაეტარებინა და ამით მრავალი სარგებლობა მოეტანა თავის ერისთვის. მაგრამ საზოგადო მოღვაწეს მასში პატრიოტი სჯაბნიდა. დიმიტრი ყიფიანი პატრიოტი იყო „ფეხით თხემამდე“, მეფე ლირის სიტყვებით რომ ვსთქვათ. მისი სარწმუნოება სამშობლო იყო, მისი ზნეობა პატრიოტიზმი.

სიმამაცე შეადგენდა სიმშვენიერეს მისი სულისას და ეხლაც კი, როცა, თანამედროვე გენერაცია პირველად სწავლობს მის ცხოვრებას და მოღვაწეობას, გასაკვირველია, როგორ ახერხებდა ეს ადამიანი თავის თავისავე დაძლევას. ერთის მხრით ის იყო საზოგადო მოღვაწე, მაგრამ საზოგადო მოღვაწე უკვე გაუქმებული სამეფოსი და მეორეს მხრივ, როგორც შედეგი პირველისა,—პატრიოტი, მოსურნე მისი აღორძინებისა. მისი საზოგადო მოღვაწეობა თხოულობდა დინჯსა და სისტემატიურს მუშაობას, დიდს ღოდინს და დაფარულს იმედებს, მისი პატრიოტიზმი კი სწრაფ მოქმედებას, რისხვას,—როცა სამშობლო შეურაცყოფილი იყო და აშკარა სიხარულს,—როცა ქვეყანას რამე კარგი ეღლინებოდა.

როგორც ნამდვილი წინამძღოლი თავის ხალხისა, იგი მოთმინების მომხრე იყო, მაგრამ ამ მოთმინებას მხოლოდ ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ დრო მოეგო, ვიდრე საზოგადოებრივი ძალე-

ბი გაღონიერდებოდნენ. საქართველოს პოლიტიკურმა ბედმა მას ბევრი უსიამოვნო მოვალეობა დააკისრა. იქმნება საქართველოში პირველად მისთვის გახდა ნათელი ის გარემოება, რომ საქართველოს პოლიტიკურად მოსპობის შემდეგ, მეორე პროცესი იწყობოდა ჩვენში, პროცესი არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მის მომავლისთვის, სახელდობრ, საქართველოს სამეფოთა და სამთავროთა გაერთიანება. და რომ ეს პროცესი მალე მოსულიყო სისრულეში, საჭირო იყო ახალი პოლიტიკური მსხვერპლი,—შემოერთება სამეგრელოსი და აფხაზეთისა. მისი მდგომარეობა ფრიად ტრაგიკული იყო, მაგრამ ასეთ პასუხსაგებ საქმის თავის თავზედ მ ღება მხოლოდ ისეთ დიდ ადამიანს შეეძლო, როგორიც დიმიტრი ყიფიანი იყო და იმანაც ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არა ნაკლები როლი ითამაშა.

მას აქეთ კარგა ხანმა განვლო, ბევრი რამ შეიცვალა მას აქეთ, და როცა უკვირდებით მის მოღვაწეობას, იძულებულნი ვართ გამოვტყდეთ, რომ მის მოქმედებაში ერთგვარი პოლიტიკური სიბრძნე იყო, გარდმოცემული მრავალ სახელმწიფოთა პრაქტიკისაგან.

დიმიტრი ყიფიანი კავურის თანამედროვეა ამ დიდებულ იტალიელის ლოზუნგი მასაც გაზიარებული ჰქონდა: „იტალია ან უნდა მეგობრობდეს ავსტრიას, ან უნდა ეომებოდესო“. სხვა მდგომარეობა შეუძლებელი იყო. და ამის შემდეგ, აღარ უნდა იყვეს გასაკვირველი ის მოთმინება, რომელსაც ქადაგებდა დიმიტრი ყიფიანი. იგი, როგორც დიაგრულ ერის მოღვაწე, ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ამ სკოლისა და რადგანაც ზედმიწევნით იცოდა საქართველოს მდგომარეობა, მისი სისუსტე, იგი მოუწოდებდა ხალხს კულტურულ და ეკონომიურ მუშაობისაკენ. მაშინდელ საქართველოს არ შეეძლო სხვანაირად მოქცევა, სხვა გზას ვერ დაადგებოდა და დიმიტრი ყიფიანიც ქადაგობდა მეგობრობას და მოთმინებას. ასე აზროვნობდა იგი, როგორც წინამძღოლი ხალხისა.

მაგრამ, როგორც პატრიოტი, იძულებული გახდა პირველად თითონ ეღალატნა ამ რწმენისთვის და როცა გარემოებამ მოითხოვა—დიმიტრი ყიფიანს ხმა ამოეღო, იგი გამოვიდა ბრძოლის ველად განმარტოებული. ამ ბრძოლაში მისი ბოლო მეტად ტრაგიკული იყო, იგი მოკვდა დაშორებული თავის ქვეყანას, მოკვდა ნაძალადევის სიკვდილით და შთამომავლობას დაუტოვა საუცხოვო ძეგლად ტანჯული დღენი თავისი ბოლონდელი ცხოვრებისა. ამ ძეგლზედ თავის სისხლის წვეთებით დასწერა მან, როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს სამშობლო და რაც უფრო ღირსშესანიშნავია,—როგორ უნდა დაიცვას მან იგი. ოცდახუთი წელიწადი მეტად მცირე დროა, რომ მისმა ღვიძლმა ხალხმა დაიწყოს იგი და არც იმისთვის ვწერთ, რომ მოვაგონოთ ვისმე მისი ხსენება. ჩვენ ისედაც ვიცით, რომ დიმიტრი ყიფიანი მარად სახსოვარი მიცვალებულია საქართველოსათვის.

ა—ი.

დიმიტრი ყიფიანის სახსოვრად ვბეჭდავთ (ზოგიერთი უმნიშვნელო ფრაზის გამონაკლისით) მის წერილს, 1880 წელს მიწერილს „დროების“ რედაქციაში

ბატონო რედაქტორო!

ჟამია ვითარებამ ისე მოიტანა, რომ „დროების“ 254 №-ში დაბეჭდილი ს.მ—ის ღია წერილი დღევანდლამდის არა მქონდა წაკითხული.—დღეს რომ წავიკითხე, ჯერ იქამდინ აღმიშფოთდა გული, რომ ზეზე წამოვჰხტი. და „როგორ თუ“ მეთქი დავიძახე... მაგრამ, როგორც მოხუცებულსა და მრავალგვარად ნაცოდვილევს კაცს შეჰშვენის, მაშინვე დავიმშვიდე გული და საქმეს დავუფიქრდი.

საშინელია ს.მ—ის ღია წერილი; საშინელია, როგორც მგზნებარე წარმოთქმა უსამართლოდ განგმირულის გრძნობისა, როგორც გვემა აღბორგებულის გულისა.

„როგორ თუ“... კი არა, საქმეს თვალი თვალში უნდა გავუყაროთ და როგორც ჩვენს მრავალ მომთმენლობას შეჰშვენოდეს, როგორც ჩვენს სულის შეუგინებლობას შეეფერებოდეს, ისე უშფოთველად გავსშინჯოთ საქმე, რომელიც ისეთის ვისებისა არის, რომ უსაცილოდ უნდა სირცხვილეულ ჰყოს ან ერთი მხარე, ან მეორე. რა რომ სიტყვა ითქვა, ითქვა: ანღა გადათქმა უნდა, ანღა გამტყუვნება. სხვა სარჩევი აღარა არის რა.

ქუთაისში რომ მასწავლებელთ კრება იყო, ამბობს ღია წერილი, იმ კრების მოთავესათვის ბატონს იანოვსკის *) დარიგება თურმე მიეცა, რომ სასოფლო სკოლებში რუსული ენის სწავლა პირველივე წლიდამ დაიწყებოდესო,—და ეს იყო

*) კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყოფილი მზრუნველი.

თურმე მიზეზი, რომ იმ კრებაზედ ისეთ ახირებულად გატრიზავდა პატივცემული გორის სემინარიის დირექტორი სემიონოვი.

ამას გარდა სენაკში სასოფლო სკოლის მასწავლებლისათვის უბძანებია ბატონს იანოვსკის, ბავშვებისათვის რუსული რატომ არ გისწავლებიათ? თქვენ რაღასაც სხვა მიზნს მისდევთ და არა პედაგოგიასაო!

აუცილებელი დილემმა გამოდის ამ ამბავიდამ: ან იანოვსკის არა უნებებია რა ამგვარი,—არც იმ დარიგების მიცემა და არც იმ სიტყვების წარმოთქმა, მაშასადამე ს. მ. სტყუის,—საზარელს ცილსა ჰსწამებს ბ-ს იანოვსკის.— ან არა და ს. მ. ისეთს ამბავს მოგვითხრობს, რომელიც სწორეთ ჰსმენია და მაშინ იანოვსკის ვალია „დროების“ წამკითხველებს გაუუქმოს ეს ამბავი...

ბ. იანოვსკი იძულებულია, რომ ხმა ამოიღოს და ღია წერილისაგან მიცხებული მწიკვლი განიბანოს იმ უფლების წინაშე, რომელსაც ემსახურება.—ამ მწიკვლის გამბანი და გამრეცხი ერთად ერთი ღა წყაროა მთელს მსოფლიოში: გულის სიწრფელით აღსარება და მოქალაქობითი ვაჟკაცობით გამოტეხა—მე ვასრულებ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასაო!

მაგრამ როგორ იტყვის ამას? ჩემს მომავლინებელს არც დანახვა აქვს, არც დასწავლაო, ეს თუ სთქვა, ხომ მაშინვე პირში ეტაკებიან აქეთ იქითგან ამნაირი სიტყვებით: „წარვედ პირისაგან ჩემისა, რამეთუ არა უწყი,რას იტყვი“.

ცხადია, რომ აქ ცრუ გზაზე დგომა მომავლინებელის ბრალი არ უნდა იყოს.

მაშ სრული ნება გვექნება ვიკითხოთ: ქართული ენის ცოდნამ რა დაუშავა იმ გმირებს, რომელთაც ისახელეს თავი და ასახელეს რუსეთის მხედრობაცა და რუსეთის მმართველობაცა, როგორც ძველს დროებაში, ისე ჩვენს მახლობრობაში?—რა დაუშავა ქართველობამ და ქართულის ცოდნამ პავლე ციციანოვს, პეტრე ბაგრატიონს, დიმიტრი ორბელიანს, აფხაზს, სავარსამიძეს, გიორგი ერისთავს? ჯერ რომ ქართული იცოდნენ და მერე რუსული, ამითი რუსეთს მტერს ვერ უმარცხებდნენ თუ, და ქვეყნებს ვერ უმორჩილებდნენ თუ?—მოსე ალღუთაშვილი და ვასილ ბებუთოვი მტერსაც რომ ყოველთვის საოცრად უმარცხებდნენ და ქვეყნებსაც რომ სახელოვანად უმართავდნენ;—ან გრიგოლ ორბელიანი, ან ალექსანდრე ჭავჭავაძე, ლევან მელიქიშვილი, ვითომ რა შემცოდველნი არიან რუსეთის წინაშე, რომ თავის ქართველობა არა ჰგმეს და ჯერ ქართული ისწავლეს, მერე რუსული?...

რა შეგცოდეს თქვენ, ან მომავლინებელთა თქვენთა, იმ ქართველებმა, რომლებიც რუსებთან ძმურად ხელი-ხელს გადაბმულნი რუსეთის დიდებისათვის თავისს წმინდა სისხლს ერთად ანთხევდნენ და რუსეთის მხედრობას მოუხედავად მიუძღოდნენ, საითაც სამსახურის ვალი იწვევდა?

სამოქალაქო სამსახურის მოხელეებისა რაღა ვთქვათ: ვინ არ იცის, რომ ათასში ერთს თუ დაგვისახელებენ ვისმე ქართული ენის მცოდნეთაგანსა, რომ შთამომავლობით პატიოსნება შეგინებულ ექმნას სადმე?

მერე რა ენისას ამბობენ კაცობრიობის მგმობელნი, უნდა გაქრესო!იმ ენისას,რომელსაც ლაპარაკობდნენ ვახტანგ გორგასლან,დავით აღმაშენებელი,თამარ მნათობი,რომელზედაც ქრისტიანობას გვიქადაგებდნენ ნინო მოციქულთა სწორი და ათასამეტნი სირიელნი მამანი; რომელზედაც იწერლობდნენ პოეტნი, როგორც შოთა რუსთაველი; ფილოსოფოსნი, როგორც პეტრიწი;—სჯულის მდებელნი,როგორც ვახტანგ მეფე,—რომელსაც აქვს ანბანი უმარტივესი და უბუნებითესი ყოველთა ანბანთაგან!

ახლა მიჰხედით თუ ვერა რასაც თქვენი ქადაგება მოასწავებს? ჩინგის ხანმა, ლანგ-თემურმა, შაჰ-აბაზმა, ნადირ-შაჰმა ვერ შემუსრეს ჩვენი ხალხოსნობა და ახლა თქვენ გინდათ შემუსროთ, როდესაც ჩვენ ჩვენის კეთილის ნებით, სიყვარულით და სასოებით მივენდეთ რუსეთს, რომლისაც გარეშეუწერელი ერთგულება შეურყეველადა გვაქვს გულში ჩანერგილი?!!

არა ბატონებო? თუ ღია წერილის აზრი არ დაირღვა... იანოვსკის ათას წილად უჯობს ისევ ამ აზრის შემუსვრა მოახერხოს.. თუ ეს აზრი არ შემუსრა, იანოვსკი შემცთარი კი არა, შემცოდავი იქნება ორ გვარად: რუსეთის წინაშე,რომ ერთი უერთგულესთაგანის ხალხის გაორგულება განუზრახავს და მერე მეცნიერების წინაშე, რომ პედაგოგიას ურღვევს დიდი მეცადინეობით შემუშავებულს კანონსა, რომელიცა ჰბრძანებს: წულსა ყრმასა ჯერ საშინაო ენას ასწავებდეთ და მერე საქვეყნოსაო.

ეს აზრები წარმომიდგა, რა რომ ს. მ—ის ღია წერილი წავიკითხე. მაგრამ საქმის გამოკვლევას რომ უფრო გულდასმით გამოვეკიდე, მაშინ ერთი ფაქტი მომაგონდა, აქ, ამ ქუთაისში მომხდარი.

მას აქეთ იქნება ერთი თხუთმეტიოდ წელიწადი.

მოგეხსენებათ რომ ვისაც თავისი ბუნებითი ენა ვერ შეუსწავლია, სხვა ენას უფრო ვერ შეისწავლის. მაგრამ ეს საზოგადო თვისებაც მოგეხსენებათ ადამიანისა, რომ რასაც უშლიან, იმას უფრო ეტანება.

როგორც მოგახსენეთ, ამ 15 წლის წინათ თითქმის აქ ყველანი რუსულს ლაპარაკობდნენ; მაგრამ თქვენს მტერს გააგონა ისეთი დამტვრეული ლაპარაკი.

ერთს დიდს მოხელეთაგანს მოჰხსენებიყო, ამა და ამ სასამართლოში მწერლები ხანდახან ქართულად ლაპარაკობენო. დაებარებინა მდივანი და ებრძანებინა, არამც და არამც ქართული ლაპარაკი აღარ გაბყდონ, თორემ ისეთ საქმეს დავმართებ რომ სულ კუდით ქვა ვასროლინოო.

გამოვიდა თუ არა ეს ხმა, ყველამ ამოიკვეთა ლაპარაკი; მაგრამ ქართული კი არა, რუსული. ქართულს რომ მიუდგეს ფეხი და ამ დედა ენით ლაპარაკში გაიმართნენ, მაშინ დაინახეს, რომ რუსულს თურმე მეტად ამტვრევდნენ და უწყალოდ ამახინჯებდნენ.

ამ მიკლე ხანში გარემოება ისე შეიცვალა, რომ ახლა რუსული კარგად იმან იცის, ვინც თავისი ქართული იცის კარგათა.

ეს მოვლინება ბუნებითი არის ყოველგან და ყოველთვის უცვალებელი;—და არის ის ზნეობითი ჩვენი აზარმაცი, რომლითაც უძრავი იძვრის, ურყეველი ირყევა და უშენი შენდება.

ეს რომ გულდაწყნარებულმა თვალწინ წამოვიყენე, მივჰხვდი, რომ სადაც გულს ვიშფოთებთ, ხშირად მოხდება, რომ იქ მადლობა გვემართოს.

დიმიტრი ყიფიანი

7. დეკემბერს 1880 წ. ქ. ქუთაისი.

დიმიტრი ყიფიანის 25 წლის გარდაცვალების გამო

წელს, 23-ს ღვინობისთვეს სრულდება ოცდა ხუთი წელიწადი, რაც ადმინისტრატიული წესით გადასახლებული დიდებული მამულიშვილი დიმიტრი ყიფიანი ვერაგულად მოკლულ იქმნა ქ. სტავროპოლში.

საიდუმლოებითაა მოცული ეს მკვლელობა, ვის დასჭირდა მისი სიკვდილი?

ქურდსა და ავაზაკს, თუ ამ ქურდობის და ავაზაკობის შემქმნელს?

არ ვიცით.

ვიცით, მხოლოდ, რომ დიმ. ყიფიანს უყვარდა ღრმა, განუსაზღვრელი სიყვარულით თავისი სამშობლო, თავისი ერი, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ფარვანასავით დასტრიალებდა თავის მიწა-წყალს, თავის მოძმეს და ბოლოს ზვარაკად შეწირა მათ საკეთილდღეოთ.

72-ს წლის მოხუცი, ცხოვრების ბრძოლაში მრავალჯერ დაჭრილ-დაკოდილი, მაგრამ გულგაუტეხელი, ჯერ კიდევ მხნე, ძალოვანი მებრძოლი, პირდაპირ ბრძოლის ველიდან გადავიდა სხვა მსოფლიოში და განისვენებს იქ ამაყი, კმაყოფილი გულით, რადგან ეს გული ვერ გაიხსენებს ვერც ერთს მომენტს განვლილ ცხოვრებაში, როდესაც ოდნავ მაინც ეღალატნოს თავისათვის, დამონებოდეს კომპრომისს: ეთქვას ის, რასაც არ გრძნობდა და არ ეთქვას ის, რასაცა გრძნობდა.

გრძნობა ყოველთვის სჭარბობდა მის „კეთილგონიერებას“. კეთილ-ღღეობა თვისი და თვისი ოჯახისა ოდნავადაც ვერ აფერხებდა ვერც ერთს მის ნაბიჯს, თუ ამ ნაბიჯის გადადგმას გული უკარნახებდა.

მორჩილება, სამსახურის მოვალეობა კარგად იცოდა, სანამ მის მტკივანს გულს ხელს არ წაჰკრავდნენ.

თავაზიანი, თავმდაბალი, დამთმობი, კეთილი, ყველას მოყვარული, ის უცბად ჰხდებოდა ამაყი, მკაცრი, მკვახე, დაუნდობელი, თუ ვინმე მის წმიდათა-წმიდას ჭუჭყიანი ხელით შეეხებოდა.

ხოლო ეს წმიდათა-წმიდა იყო მისი სამშობლო.

იგი უყვარდა უზომო სიყვარულით

უყვარდა მთელი მისი ღირსება-ნაკლულევანებით. შეგნებით, ჭკუითა, გულით, მთელი არსებით.

ის რომ აეყვანათ საღრჩობელაზე და ეთქვათ: უარჰყავ სიყვარული სამშობლოსადმი და თავისუფალი იქმნებიო, ამაყად გადაჰხედავდა მაცდურთ და ეტყოდა:

-- თუ უარვყავი ჩემი „მე“, ჩემი არსება, მე მკვდარი ვიქმნები, ცოცხლად მკვდარი არ მინდა ვიყო, სჯობს ჩამომაღრჩოთო.

ასე იტყოდა, რადგან მოგებული დარჩებოდა:

ცოცხალს მკვდარს, მკვდარი ცოცხალი სჯობია!

ოცდა ხუთმა წელმა განვლო, რაც ის მკვდარია, მაგრამ დღესაც ამერ-იმერეთისა და კახეთის ქართველ ოჯახებში ხშირად გაისმის სადღეგრძელო:

— ღმერთმა აცოცხლოს დიმ. ყიფიანიო!

არ იტყვიან „ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს“, „ღმერთმა აცოცხლოსო“

რადგან ის ცოცხალია მათ გულში, შორს, ძალიან შორს გადასახლებული და შორიდან მოყვარული და მოტრფიალე სამშობლოსი რომელიც მუდამ მას ეგონებს.

მეგობარი

ვისი ბრალია?

ხშირად ჩვენი სოფლის მასწავლებლები, სხვა „ჩვენი დროის გმირებთან“ ერთად, ქუდ გვერდზედ მოქცეულნი „არღანზედ“ ქეიფობენ, ბანქოობენ, ჰორიკანობენ და სხვა. ტრ. ზემოკრიხელი. გაზ. „თემი“ № 93

რითი აიხსნება ქართულ სახალხო განათლების საქმის დაძაბუნება, დაჩაგვრა?

ქართულ სოფელს არა ჰყავს მომზადებული, განათლებული და ეროვნულ იდეალებით გატაცებული ქართველი მასწავლებლები, არა აქვს ეროვნული სკოლა—გვიპასუხებს ჩვენი დუხჭირი სინამდვილე.

რატომ არის მოკლებული ჩვენი ქვეყანა ამ უმთავრეს ელემენტებს ერის წინსვლისას?

რატომ არა გვყავს ნამდვილი ქართველი მასწავლებლები?

რატომ არა გვაქვს ეროვნული სკოლა?

განა ქართველი საზოგადოება არა ზრუნავდა და არა მუშაობდა ამ დიად საქმისთვის?

ზრუნავდა და ზრუნავს...

მაგრამ ქართველურად:

1879 წელს დააარსა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

სათავეში დააყენა 12 განათლებული ქართველი და ამით ჩაუყარა საძირკველი კულტურულ განმანათლებელ მოძრაობას ქართულ სოფლებში. „საზოგადოებას“ წესდება ნებას აძლევდა ფართოდ დაეყენებინა სახალხო განათლება ჩვენს სოფელში, მოემზადებინა და დაერაზმა ქართველი მასწავლებლები ამ დიდ ეროვნულ საქმისათვის.

შეეძლო... მაგრამ, ინიციატივას და ენერგიას მოკლებული და ამიტომაც უსახსრო „საზოგადოება,“ ვაი-ვაგლახით მიაჩანჩალებდა თავის ცხოვრებას, და საქმე ყოველწლივ თავდებოდა წევრების პაწია კრებით, ბევრი ლაპარაკით, თავში ცემით, დიდი ანგარიშებით და პატარა შედეგით: ორი სამი სკოლით, ოთხიოდე სამკითხველოთი. ასე იყო წინად.

ასე არის საზოგადოების 33 წლის არსებობის შემდეგაც.

სათავეში ეხლაც უდგას 12 განათლებული ქართველი.

იგივე წესდებით, მისი ფართო განმანათლებელ გეგმით.

იგივე ორიოდე გროშით სალაროში სახალხო განათლებისათვის.

იგივე მრავალ დიდ საკითხებით თავ მოხვეული და მიყუჩებულ მოქმედებით სახალხო განათლების ასპარეზზედ:

რამდენიმე მინგრეულ-მონგრეული სოფლის სკოლა და ათიოდე სამკითხველო!

არც ერთი საკუთარი მასწავლებელი, არც მოწყობილი მათვის კურსები, არც ფართო კავშირი საზოგადოთ ქართველ მასწავლებლებთან, არც საზოგადოების მუდმივი ბეჭდვითი გამოცემა ქართულ სახალხო განათლების საკითხების განსახილველად მოსავლელად!

აი 33 წლის ზრუნვა-მოქმედების შედეგი ქართულ საზოგადოებისა ჩვენი სოფლის განათლებისათვის! ამაში ბრალი მიუძღვის არა მარტო წ. კ. საზოგადოებას, არამედ მთლად განათლებულ ქართველობას. ქართულ სახალხო განათლებას აქამდის არა ჰყავს მძლავრი იდეური ხელმძღვანელი.

არა ჰყავს პატრონი.

და რა გასაკვირველია, რომ კაი ნაწილი ქართველ მასწავლებლებისა ჩამოშორდა თავის წმინდა მოვალეობას და, როგორც უპატრონო მოწაფეები, ირყვნებიან, ლოთობენ, ბანქოობენ და „არღანზედაც“ ქეიფობენ.

„აბა დელი დელია... საქართველო ჩემია!“ გაიძახოდა ასი წელიწადი უცხოეთის „არღანი“ საქართველოში და მიჰქონდა საფასურში ჩვენი სარჩო-საბადებელი, მიწა, წყალი და ეროვნული მისწრაფებანიც.

ეხლაც მიაქვს და კიდევ ბევრს წაიღებს თუ დროზედ არ გავაჩუმებთ.

ამისათვის კი ძალაა საჭირო: იდეური ერთიანობა, მწყობრი სისტემა პრაქტიკულ მუშაობისა და დაუყონებლივი განხორციელება მისი ცხოვრებაში.

ამგვარ მიმართულების ორგანიზაციებს სახსარიც მალე უჩნდებათ.

ამ თვალსაზრისის მიხედვით ეხლანდელ ჩვენს ცენტრალურ საგანმანათლებელო ორგანიზაციას,—ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, სჭირდება საფუძვლიანი რეორგანიზაცია, რადგანაც ძველებურ წესწყობილობისა, მართველობისა, და ტრადიციების წყალობით, შეიქმნა იმისთანა უმოქმედო ატმოსფერა საზოგადოებაში, რომ ძალა უნებურად იგი ჩამოშორდა და ველარ ემსახურება თავის უმთავრეს მიზანს,—სოფლის ხალხის განათლებას: **ეროვნულ სკოლების დაარსებით და მათი სამაგალითო მოწყობით, ქართველ მასწავლებლების მომზადებით, სახალხო წიგნების გამოცემით და საერთოდ მათი იდეურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობით.**

დავით კახელი.

ბ. ტერ-გასპარიანცი

ბათუმის ოლქიდან უცანაური ამბები მოდის. ეჭვი არ არის, რომ იქ პირველ დაწყებითი სახალხო სწავლა-განათლება დიდ განსაცდელშია. კავკასიის სამოსწავლო ოლქი ერთი ხანია იმ გზას ადგია, რომ დაბალი სწავლა განათლების საქმე, მეტადრე საკითხი ენათა შესახებ, ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილიყო.

ეს არ მოსწონებია, როგორცა სჩანს, სამოსწავლო სკოლის უნცროს აგენტს ბატონ ტერ-გასპარიანცს და ჯერ მუნჯური მეთოდი შემოუღია მაგრამ როცა ამას უკმაყოფილება გამოუწვევია საზოგადოებში—81 წლის სამოსწავლო გეგმა დაურიგებია.

გაზეთები ტერ-გასპარიანცს სომეხ შოვინისტად აგვიწერენ. მისი პირველი კითხვა ყველასადმი შემდეგი ყოფილა:

— რომელი ეროვნებისა ხართ?

არა გვგონია ჩვენში ისეთი მშიშარები იყვნენ, რომ ტერგასპარიანცთან თავისი გვარ ტომობა ვინმე დამალოს, მაგრამ მაინც გვსურს შეკეკითხოთ ბატონ ტერ-გასპარიანცს: რა საჭიროა ორმა მილიონმა ქართველმა ხალხმა ხახა დააღოს და წამდაუწუმ იძახოს:—დიახ ჩვენ ქართველები ვართ!

ამას არ ითხოვს არც პედაგოგიური პრინციპი, არც თვით 81 წლის სამოსწავლო გეგმა, რომელსაც ამოეფარა იკი.

ჩვენ, რასაკვირველია, იმ აზრისანი ვართ, რომ ასეთი წრეს გადასული გატაცება მარტო ნაციონალურ ტიპების გამოკვლევის სურვილით არ არისგამოწვეული და ბატონ ტერ-გასპარიანცს სხვა უფრო მავნე მიზანი ამოქმედებს, რომელიც საღ პედაგოგიურ პრინციპის მიხედვით ყოველად შეუწყნარებელია. აჭარელ ქართველთათვის ყარაბახელ და ერევნელ სომხების მოწვევა მასწავლებლებად არამც თუ წინააღმდეგია საღი ლოგიკისა, პირდაპირ სასაცილოა და მხოლოდ ტერ-გასპარიანცის წრეს გადასულ შოვინიზმის მაჩვენებელია. ქართულ სახალხო განათლების საკითხში აქამდის მხოლოდ ვოსტორგოვისებური შოვინიზმს ჰქონდა ადგილი, მაგრამ თუ ტერ-გასპარიანცის შავინიზმსაც მოვესწროთ, ამას კი არ ველოდით. ვოსტორგოვის მოღვაწეობას სარჩულად, ეგრედ წოდებული, რუსიფიკაცია ედო და იგი, როგორც ერთგვარი სახელმწიფოებრივი საშუალება, მოწონებული იყო თვით მთავრობისაგან. „არმენიზაცია“ ქართულ სახალხო განათლებაში—ეს მხოლოდ ცოდვილობაა გაცულლუტებულ პატრიოტისა და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ რომ „არმენიზაცია“, როგორც რუსული სახელმწიფოებრივი საშუალება, არც არსებობს კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამმართველოში.

X

სარჩევნო ს*ილი

ყველა ეპოქას თავისი სტილი აქვს. საფრანგეთის სალიტერატურო სტილი მეთვრამეტე საუკუნეში იყო სტილი რასინისა და კორნელისა.

ამაზედ იყო აღზრდილი და გაწვრთნილი საფრანგეთის ლიტერატურა, საფრანგეთის მაღალი საზოგადოება, საზოგადოება, რომელიც იკრიბებოდა ვერსალში და პარიზის სალონებში.

ყველამ უწყის რა მარცხით დამთავრდა ვიქტორ ჰიუგოს პირველი სალიტერატურო დებიუტი. დამნაშავე სტილი იყო! თეატრში ვიქტორ ჰიუგოს „ერნანის“ თამაშობდნენ.

აბა რის მაქნისია ასეთი უბრალო და მოუხეშავი ლაპარაკი:

— რომელი საათია?

— თორმეტი.

მარკიზისთვის ან ვიკონტისთვის, ან ძველი სკოლის ლიტერატორისთვის ეს ისეთი უგემური რამ იყო, ისეთი უცოდინარობა მაშინდელის ფრანგულისა, მაშინდელი სტილისა, ისეთი ლიტერატურული ტეტიობა, რომ „ერნანის“ დამარცხება ეჭვს გარეშე იყო.

სულ არა იყოს რა ასე მაინც უნდა ეპასუხნა:

—ეს არის ეხლა სასახლის კოშკზედ
საათმა დაკვრით თორმეტი გვამცნო!

თორემ რას ნიშნავს სადა და მარტივი: „თორმეტი“, ისიც ურევერანსოდ.

ამას ერქვა სტილი!

ქალწულს თავის დღეში არა ჰკითხავდნენ წლოვანობას, მაგრამ თუ გამოჩნდებოდა მაშინდელ საზოგადოებაში ისეთი უზრდელი ფრანგი და ჰკითხავდა, მაშინდელის სტილის მიხედვით ქალწულს ასე უნდა ეპასუხნა:

რაც სიყვარულის და ტრფობის ღმერთმა
ჩემი მშობლები შეაკავშირა,
მასუკან განვლო ცხრამეტ ზაფხულმა
და ვინაიდგან ტრფობის ნაყოფი
ერთ წელზედ ადრე არვის უნახავს—
ცხრამეტს, რომ ერთი მოაკლოთ წელი
ჩემს წლოვანობას მიხვდებით მალე!

ეს იყო მაღალი სტილი, სტილი მაშინდელის ეპოქისა. ასე ლაპარაკობდნენ მარკიზები და ვიკონტები!

მაშინდელი ლიტერატურა სავსეა ასეთის სტილით!

და რომ ასეთ „ვამპუკასაგან“ განთავისუფლებულიყო საფრანგეთის ლიტერატურა, საჭირო იყო სადა, მაგრამ გენიოსი მწერალი, როგორიც ვიქტორ ჰიუგოა!

ჩვენს ლიტერატურაში არ ყოფილა ასეთი სტილი.

უკვე მეთორმეტე საუკუნეში, ჩვენში ამბობდნენ:

გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის
შაირია ამად კარგი!

მაგრამ თუ ასე მსჯელობდნენ საქართველოს მარკიზები და ვიკონტები მეთორმეტე საუკუნეში, სულ სხვანაირად ლაპარაკობენ მეოცე საუკუნეში. აიღეთ ისეთი ხანმოკლე მოვლენა, როგორიც არჩევნებია.

თურმე არჩევნებსაც თავისი სტილი ჰქონიათ. და მერე როგორი!

ვსთქვათ, გააშავეს ყოფილი დეპუტატი,

არა მირაბო!

არა ჟორესი!

უბრალო, სადა და ჩვეულებრივი დეპუტატი.

— ისეთი, როგორც გეგეჭყორი!

ვიდრე დეპუტატად იყო, იმდენად საშუალო და ჩვეულებრივი დეპუპატი იყო, რომ ყველა მისი ამხანაგი ფიქრობდა:

— ეგრე ხომ მეც შემიძლიანო!

და მართლაც რა ისეთი „ტაბიკის მტვრეველი“ დეპუტატი იყო გეგეჭყორი, რომ ამ „ტაბიკების მტვრევა“ ყველა მორიგ ესდეკს არ შეეძლოს!

პირადი ღირსება საჭირო არ არის!

ცოდნას იქვე პარლამენტში მიიღებს.

მჭერმეტყველებაზ?--ყოველთვის შეგიძლიან ისეთ უენო და უსიტყვო დეპუპატს მოუჯდე გვერდზე, რომ მასთან შედარებით, თვით დემოსთენს ჰგვანდე.

ხოლო პროგრამა რამდენიც გნებავთ!

არის პროგრამა მინიმალური!

არის პროგრამა მაქსიმალური!

სწორედ ისე, როგორც ალექსანდრე მაკედონელის თავის ქალა!

ქალა—როცა მაკედონელი 15 წლისა იყო!

და ქალა, როცა მაკედონელი 25 წლისა იყო!

და სწორედ ისე, როგორც ალექსანდრე მაკედონელის მესამე თავის ქალაც იყო, მაგრამ დაიკარგა,

ყოველ ესდეკს ჰქონდა მესამე თავის ქალა, მესამე პროგრამმა, რომელიც რეაქციამ მოადნო...

ერთის სიტყვით, სადეპუტატო პირობები ისეთია, რომ ყველას შეუძლიან დეპუტატობა.

ვისაც გინდა დაუძახე!

თუ დეპუტატად არა, ყველა მათგანი დელეგატად მაინც ყოფილა რომელიმე საზოგადოებისაგან, ცეხისაგან, ამქრისაგან:

დასაფლავებაზედ
იუბილეიზედ
სოფლის სკოლის გახსნაზედ.
ბიბლიოთეკის დაარსებაზედ.

სიტყვებიც უთქვამს:

დასაფლავებაზედ
იუბილეებზედ
სოფლის სკოლის გახსნაზედ
ბიბლიოთეკის დაარსებაზედ

მაგრამ არა! გუშინდელი დეპუტატი და დღეს

გაშავებული, გუშინდელი საშუალო ტიპი, რომლის მაგიერობას ყოველი მათგანი შესძლებდა, დღეს, გაშავების შემდეგ

თურმე რაღაც დიდი ყოფილა!

— გააშავეს! ჰგოდებენ გულ-ნამცეცა ამხანაგები.

როდი ამბობენ, რომ გაიმარჯვა სხვა პარტიამ

— **რეაქციამ** გაიმარჯვა! აშინებენ ხალხს.

და რომ უფრო გაჰბერონ თავიანთი გაშავებული მეგობარი, ალაპარაკებენ თავიანთი სტილით!

სტილით რასინისა და კორნელისა.

ისე როგორც მარკიზები,

ისე როგორც ვიკონტები.

სწორედ ისე, როგორც ცრუ-კლასიკურ ტრაგედიებში!

როდი ამბობენ მორცხვად, როგორც შეშვენის ყოველ უბედურებას, ყოველ დამარცხებას:

ჩვენი მეგობარი გააშავეს.

— გაშავდა **ხალ**ხის მეგობარი! ჰყვირიან ისინი.

იმასაც კი ვერ ახერხებენ რომ სთქვან: ჩვენ უკეთეს დეპუტატს მივსცემთ ხალხსაო“

არა! ისინი მისტირიან, როგორც ებრაელნი სამსონს!

ხომ არ ამბობენ:

— გეგეჭყორი აღარ იქმნება დეპუტატად, გეგეჭყორი უბრალო და ჩვეულებრივი!..

— ჰყვირიან: „ხალხს გოლიათი ჩამოაშორეს!“

როდი ამბობენ:

— გეგეჭყორი ველარ დაბრძანდება დეპუტატის სავარძელზედ.

რაც ძალი და ღონე აქვთ ჰყვირიან:

გააძევეს ბრძოლის ველიდან!

და როგორც მედიას ქმარის გაქცევის შემდეგ, აღარც თავის შვილების სიცოცხლე სურდა და ყელები დასჭრა, სოციალ-დემოკრატიამაც ლამის ყელები დაგვჭრას, რაკი მთელი ქვეყანა თავის შვილობილად ეგულება:

— თუ გეგეჭყორი აღარ გვეყოლება,

რაღად გვინდა სიცოცხლე,

რაღად გვინდა დეპუტატი,

რაღად გვინდა პარლამენტი.

ვიღა მოუვლის ხალხს?

ვინ უპატრონებს მას?

და ეს სიტყვები:

გოლიათი

ბრძოლის ველი

ხალხის მამა

ხალხის შვილი

ეს სულ მაღალი სტილის სიტყვებია

ეს სულ სოციალ-დემოკრატიულ

მარკიზებისა და

ვიკონტების სტილია!

ეს—საარჩევნო სტილია!

ფარსმან-ფარუხი

ჩვენს გარეშე

ბულგარეთი

როგორც სჩანს, ბალკანეთის ხატარა ერთა კავშირი ადარა ხუმრობს: ჩერნოგორია, სერბია, საბერძნეთი და ბულგარეთი, გაზეთების გადმოცემით, აუწერელის თაკგამოდებით ებრძვიან საერთო მტერს—ოსმალეთს; ამ ოსმალეთს, რომელიც 1453 წლიდან მაჯლაჯუნასავით დაჯდა მთელ ბალკანეთის ნახევარ კუნძულს და იქ მცხოვრების ხატარა ერების სიცოცხლე გაუმწარა. სწორედ ოსმალეთის ამდენი ხნის მტარვალობა და ამით გამოწვეული სიძულვილი უნდა ჩაითვალოს ამ ხატარა სახელმწიფოების ესე ერთსულოვანად გადაშერება მის წინააღმდეგ.

ამ ომს მებრძოლ სახელმწიფოების არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: ოსმალეთი იბრძვის ბალკანეთზედ თავის ეხლანდელ ბატონობის შესანარჩუნებლად, ხატარა სახელმწიფონი თავიანთ თავის და თავის მონათესავეთა ოსმალთა კლანჭებიდან საბოლოოდ განსათავისუფლებლად. ეს ბრძოლა უნდა ეყვეს დასასრული ამ განუწყვეტელი ომისა, რომელსაც ამ ექვსი საუკუნის განმავლობაში ეწეოდნენ თვითეული ხატარა სახელმწიფოთაგანი ცალ-ცალკე ოსმალეთის წინააღმდეგ. ეს დაუსრულებელი ბრძოლა და მუდმივი ზრუნკა თავის დაცვაზედ ოსმალების გადაულაბვისგან შეადგენს უმთავრეს შინაარსს თვითეულ ხატარა სახელმწიფოს ისტორიისას და, ამით შორის, ბულგარეთისაც; რომლის ცხოვრების მოკლედ გასინჯვაც საკმარისია ამის დასამტკიცებლად.

ბულგარეთი მდებარეობს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ და სხზდვრავენ მას ჩრდილოეთით—რუმინია, აღმოსავლეთით—შავი ზღვა, სამხრეთით მაკედონია და დასავლეთით სერბია; მდებარეობა მაღლობზე აქვს. ბალკანეთის მთის ქედი, რომელიც შედის ბულგარეთში თუმცა საიმისო მაღალი არ არის, მაგრამ მაინც გავლენა აქვს მის ჭკვაზედ; მიუხედავად იმისა რომ მთიანი ადგილები და უსწორ-მასწოროები ბევრია, მაინც ბულგარეთში მშვენი-

ერი სახნავ-სათესი მიწებია და ამიტომ მცხოვრებნიც უმთავრესად ხვნა-თესვას მისდევენ. ვაჭრობა-მრეწველობას ამ ბოლო ხანებში მიჰყვეს ხელი, მაგრამ საიმისოდ ჯერ გავრცელებული არ არის.

მცხოვრებთა რიცხვი ამ უამად უდრის ადმოსავლეთ რუმელიასთან ერთად 3,744,300 სულს; ხოლო ამათგან ბულგარები—2,888000 სულია, ოსმალები 530,000, რუმინები 71,000, ბერძნები 67,000, ებრაელები 34,000, ციგნები 90,000, გერმანელები 3000, რუსები 2000 და დანარჩენები 59,000. ამათში 3,019000 მართმადიდებელია, და ნეგები, 50,000 სულს კარდა, რომელნიც აგრეთვე ქრისტიანები არიან, მხოლოდ არა მართლმადიდებელნი, მაჰმადიანებია [1]). ბულგარები პირველად ბალკანეთის ნახევარ კუნძულზედ გამოჩნდნენ V-VI საუკუნეში. საუკეთესო ხანად მათ ცხოვრებაში უნდა ჩაითვალოს 888—927 წ., როდესაც მათმა სახელგანთქმულმა სვიმონ მეფემ ბულგარეთის საზღვრები გაავრცოვა და მეზობლებს თავზარი დასცა. მაგრამ შემდეგში შინაურ უთანხმოებისა და სხვა და სხვა კარეშე მტერთა ხშირი დაცემის გამო, ბულგარეთი დაემხო და მე-XIV-ე საუკ. სერბიას ჩაუვარდა ხელში სტეფან დუშანის ხელმწიფობის დროს. დუშანის სიკვდილის შემდგომ, სულთანმა ბაიაზეთმა აიღო სტამბოლ ქალაქი ბულგარეთისა და უკანასკნელი ოსმალების პროვინციად ხდება. ამის შემდეგ ბულგარეთის გამოცოცხლება იწყება რუსეთის ძლევამოსილი ჯარისაგან ბულგარეთის და ადრიანოპოლის დაჭერით. მიზეზი რუსეთის გადაშენებისა იყო შემდეგი: ოსმალოების დაბინადრება და მათი სისასტიკე ბულგარელებში ნაციონალურ გრძნობების აღვიძებს, რის შედეგიც იყო ბულგარეთის ხალხური აჯანყება. ოსმალების მხრივ ამ აჯანყების სასტიკმა ჩაქრობამ გამოიწვია დიდ სახელმწიფოთა კონფერენცია სტამბოლში 1876 წ., რომელმაც წინადადება მისცა ოსმალეთს შეექმნა ბულგარეთიდან ორი პროვინცია, სადაც უნდა დანიშნულიყო ქრისტიანი მართველი. ამაზედ პორტამ უარი გამოაცხადა, რამაც გამოიწვია რუსეთის გამოდაშენება. ეს ომი დასრულდა რუსეთის გამარჯვებით და 1878 წ. სანსტეფანოს ᲬᲐ ბერლინის ტრაქტატით განისაზღვრნენ პირობები ბულგარეთის არსებობისა. ამ პირობების ძალით ბულგარეთი ცალკე სამთავროდ იქმნა ადიარებული, სულთანის უმაღლეს მფარველობის ქვეშ. ბულგარეთის სულთანისთვის უნდა აძღია განსაზღვრული გადასახადი, რომლის რაოდენობა უნდა დიდ სახელმწიფოებს გადაეწყვიტა. მაგრამ ბულგარეთმა ისე განითავისუფლა თავი და დამოუკიდებელიც გახდა, რომ დღესაც ამ საკის რაოდენობა გადაუწყვეტია.

1879 წ. ხალხის წარმომადგენელების მიერ ტირნოვოში შემუშავებულ კონსტიტუციის ძირითად კანონის ძალით ბულგარეთი ადიარებულია ჩამომავლობით კონსტიტუციონალურ მონარქიად. ბულგარების მონარქიის მთავარს ეკუთვნის აღმსრულებელი უფლება, კანონმდებლობითი კი ხალხის წარმომადგენლობას, რომელიც არის ორ გვარი. ჩვეულებრივი—იკრიბება წელიწადში ორი თვით, მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტად, და მთავარი (დიდი), რომელიც იკრიბება იმ შემთხვევაში, როცა რაიმე დიდი სახელმწიფოებრივი საკითხია გადასაწყვეტი. მაგალითად, მთავრის დანიშვნა (არჩევა), ან კონსტიტუციის რომელიმე მუხლის შეცვლა.

ბულგარეთის განთავისუფლების შემდგომ, რაშიაც მათთვის ფას-დაუდებელი დვაწლი მიუძღვის რუსეთს, დაინიშნენ საქმეების მოსაწყობად და ჯარის გასაწრთვნელად რუსის მოხელეები. ამაგე რუსეთის გავლენით და ჩვენებით იყო მიწვეული პირველი მთავარი ალექსანდრე ბატენბერგი, რუსეთის დედოფლის ძმისწული. ახალარჩეული მთავარი მიდებული იქმნა ევროპა დიდ სახელმწიფოებისაგან და სულთანაბდულ-ჰამიდისაგანაც. პირველში, მთავარი ალექსანდრე დიდ გავლენის ქვეშ იყო რუსეთისაგან. დაშემდეგ კი სრულიად პირი იბრუნა რუსეთისაგან.

რუსეთთან ასეთ უსიამოვნების დროს, მთავარს მოუხდა ინგლისში ეოფნა; აქ იგი გაეცნო აღმოსავლეთ რუმელიის რევოლიუციონერებს, რომელთაც ასრად ჰქონდათ აღმოსავლეთ რუმელიის ბულგარიასთან შეერთება, და მათთან კავშირი დაიჭირა.

აღმოსავლეთი რუმელია ბერლინის ტრაქტატით შეადგენდა ოსმალეთის ავტონომიურ პროვინციას. პირველი მართველი ამ პროვინციისა ბულგარელი იყო და თავის უტაქტო ქცევით მცხოვრებთა უკმაყოფილება გამოიწვია. 1884 წ. მოხდა არეულობა, არსებული წესწყობილება მოისპო და 1885 წ. შეუერთდა ბულგარეთს, თანხმად რევოლიუციონერთა სურვილისა. ბულგარეთის მთავრის ამგვარმა საქციელმა პორტასა და დიდ სახელმწიფოების უკმაყოფილება გამოიწვია. სერბიაც კი წინააღმდეგ ამ საქციელს და ომი გამოუცხადა, მაგრამ მალე დამარცხებულ იქნა. რუსეთი ხომ იმდენად ნაწვენი იყო, რომ თავის ჯარის კეტები მთლად გაიწვა. პორტასა და ბულგარეთს შორის უთანხმოება მორიგებით გათავდა, რომლის ძალითაც მთავარი ბულგარეთისა ხდებოდა 5 წლის ვადით მარ-

*) ეს ცნობები ამოღებულია: Соціально-политическія таблицы всѣхъ странъ міра. С. Закъ. 190⁷/₈. Годъ первый.

თველად ალმოს. რუმელიისა. მაგრამ, ამის შემდგომ, მთავარ ალექსანდრეს ბევრი ადარ დასცლია და 9 მარიამობისთვეს 1886 წ. ოთხეტერთა შეთქმულებით ჩამოგდებულ იქმნა ტახტიდან და გაგზავნილი რუსეთში. აქედან ბატენბერგი მალე დაბრუნდა ავსტრიაში, სიალანატ გამარჯვებულმა მისმა ბერტიამ ხელმეორედ მიიწვია მთავრად ბულგარეთისა. დაუბრუნდა თუ არა ტახტს, მთავრმა მაშინვე რუსეთის შეატყობინა ეს ამბავი, მაგრამ რაკი მისგან სასურველი პასუხი ვერ მიიღო შესახებ თავის დაბრუნებისა, იძულებული შეექმნა თვითონვე გამოსათხოვებოდა ბულგარეთს და წასულიყო; წასვლის წინად კი დანიშნა სამინისტრო რუსეთის მოწინააღმდეგეთაგან, რომ ამით რუსეთისთვის სამაგიერო გადაეხადა.

მთავარ ალექსანდრეს განზრახვა ვერ გამართდა, ბულგარეთის ხალხს ისე ჰქონდა რუსეთის პატივისცემა გულში ჩანერგილი, რომ დროებითი მთავრობა პირველ ხანებში სულ იმის ცდაში იყო, რუსეთის ეურადღება დაებრუნებინა ბულგარეთისთვის; ამ განზრახვით დიდის ამბით გადაიხადა ბულგარეთმა 30-ს მარიამობისთვეს დღესასწაული რუსეთის იმპერატორის პატივსაცემად და ამასთანავე ახლა დეპუტაცია, რომ რუსეთს გული მოებრუნებინა ბულგარეთისაკენ. ამ დეპუტაციის შედეგად რუსეთის მიერ ბულგარეთში წარგზავნილნი,— კულბარსის, დანიშნა მოჰეკა. კულბარსი მოვიდა თუ არა სოფიაში, მაშინვე მოლაპარაკება გამართა დროებით მთავრობასთან და მისცა შემდეგი წინადადება: 1) გადადება ორი თვით დიდი კრებისა მთავრის ასარჩევად, 2) ახლა საალეო წესებისა და 3) განთავისუფლება სასჯელისაგან იმ პიროვნებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მარიამობისთვის აჯანყებაში. ბულგარეთის მართველნი დასთანხმდნენ ორი უკანასკნელი მუხლის შესრულებას, მაგრამ უარი განაცხადეს არჩევნების გადადებაზედ. ეს გარემოება შეექმნა მიზეზად ხელმეორედ რუსეთსა და ბულგარეთს შორის საქმის გამწვავებისა, მაგრამ ბულგარეთმა მაინც თავისი გაიყვანა და, მიუხედავად კულბარსის აგიტაციისა და განცხადებისა, რომ რუსეთი უკანონოდ ჩასთვლის ახალ არჩევანს მთავრობისაო, მაინც აირჩიეს დანიის პრინცი ვოლდემარი. უკანასკნელმა უარი განაცხადა. შემდეგ ამისა, ბულგარეთის დეპუტაცია გაემგზავრა დიდ სახელმწიფოებთან, ბულგარეთის საკითხის გადასაწყვეტად, მაგრამ ყველა მათგანი რუსეთზე უოთებდა. დეპუტაციამ ადარავის ათხოვა ეური და ვენაში ეოფნის დროს, სთხოვა მთავრობა პრინტ ფერდინანდ კობურგს. ფერდინანდმა მიიღო ბულგარეთის ტახტი, შეადგინა სამინისტრო თავის მოშხრეებისაგან და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე დაემსახურებინა კეთილი განწყობილება დიდ სახელმწიფოებისა, მაგრამ კარგა ხანს ვერას ხდებოდა. შინაგ 1891 წელს შეთქმულობა მოახდინეს მის წინააღმდეგ და მოკვლა განიზრახეს პირველ მინისტრის სტამბულოვისა, რადგან ბულგარეთშიაც ბევრი იყო მისი უკმაყოფილო. მიუხედავად ამ გვარის მდგომარეობისა, ფერდინანდი მაინც თავისას სცდილობდა და ცდამ უნაყოფოდაც არ ჩაუარა: 1909 წ. ფერდინანდმა მოხერხებულად ისარგებლა პორტის მდგომარეობით და თავისი თავი დამოუკიდებელ მეფედ გამოაცხადა. სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოების მიერ ეს ფაქტი სიჩუმით დადასტურებულ იქმნა. ფერდინანდი დღესაც განაგრძობს ბედის ცდას. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დღევანდელ ომშიაც, თუ პირველს არა, უმთავრეს როლს მაინც თამაშობს, რადგანაც ამ ომიდან შეიძლება პირად სარგებლობასაც გამოელის. მით უმეტეს, რომ გაზეთებისგადმოცემით, რუსეთს გული მოუბრუნებია და ეს ომი დაიწყო მისი ლოცვა-კურთხევით. ამით გათამამებულ ფერდინანდს შეიძლება სიდერდელიც აეშალოს და იტალიის მეფესავით, იმპერატორობა დაბრწყინვალე პორტას ადგილის დაჭერაც მოანდომოს.

ასეთია გაკვრით ბულგარეთის ისტორია, რომლის მომქმედ პირებად უფრო უტხო სახელმწიფოები იყვნენ (ჯერ მე XIV საუკუნიდან—პორტა და, ამ ბოლო ხანებში, რუსეთი) ვიდრე თვით ბულგარეთი.

გარეშე.

ეტურნელ დე-კონსტანის ღია წერილი ჩერნოგორიის მეფე ნიკოლოზთან

ცნობილმა წინამძღოლმა პაციფისტებისამ, საფრანგეთის სენატორმა ეტურნელ დე-კონსტანმა, აღშფოთებულმა ჩერნოგორიის ომიანობის ეინით, რასაც შეიძლება მოჰყვეს აუარებელი—უბედურება, შემდეგი წერილი გაუგზავნა 10-ს ღვინობისთვეს (ახ. სტ.) მეფე ნიკოლოზს:

თქვენო უდიდებულესობავ!

ოცდაათ წელიწადზედ მეტია გავლილი ბერლინის ტრაქტატის და ევროპიელ გამმიჯვნელ კომისიის მოქმედების შემდეგ, რომლის მდივანიც მე ვიყავ, და ეს დრო თვითონაც ნებას მომცემდა გამომექვეყნებინა დიპლომატიური საიდუმლოება, რომ თქვენ უდიდებულესობას თავად არ გამოეწვია ყოველი პატიოსანი ადამიანის პროტესტი ოსმალეთან ახალ ომის გამოცხადების გამო.

მოწმედ ვიწვევ ჩემს საკომისიო ამხანაგებს, რომელთაც ჩემთან ერთად უსიამოვნო წილი ხვდათ

ბედათ 1879—1880 წ. გამოგლეჯა ალბანელთაგან ტერიტორიისა, რომელიც თქვენ არ დაგიპყრიათ; მე ვიწვევ მოწმედ ჩემს ინგლისელს, ჯერ კიდევ ცოცხალს ამხანაგს, ვინსენ კეილარდს. ჩვენ ერთად ვიყავით „პოდგორიცაში“, რომელიც თქვენმა ცეცხლის წამკიდებლებმა საცოდავ ნანგრევებად აქციეს. ჩვენ ყველას გვრცხვენოდა იმის აღნიშვნა, რომ ევროპის მშვიდობიანობა შერყეულ იყო თქვენი ინტერესების გამო, და რაც თქვენ სასახელოდ მიგაჩნიათ; ჩვენ მივხვდით, რომ თქვენ მიერ გამოწვეული ომი თქვენი ღირსების დაცვით კი არ იყო გამოწვეული, არამედ თქვენი ხელობაა.

გავიდა დრო და თქვენ ხელახლა უქადით ქვეყანას ცეცხლის მოდებას, რომ ზედ შეჭამანდი მოიხარშოთ. თქვენ მეფობის დროს უკაცოდ დარჩენილ ჩრნოგორიაში, თქვენ ოპოზიციას არ შეხვედრიხართ—ეს ფრიად საწყუხაროა, რადგან იგი უსათუოდ დაგსჯიდათ იმ სასჯელით, რომელსაც ეხლა გიძღვნით მთელი კაცობრიობის მსჯავრი.

მე ვასრულებ ჩემ მოვალეობას, როცა გწერთ იმას, რასაც ყურით ვერ გაიგონებთ და რასაც გრძნობენ ყველანი, ვინც იცნობს თქვენს უბედურს ქვეყანას.

ეტურნელ დე-კონსტანი
საფრანგეთის სენატორი, ჩერნოგორიის
გამმიჯვნელ კომისიის მდივნად ნამყოფი.

საჭხედრო ძალები ბალკანეთის სახელმწიფოებისა

—::—

ბულგრეთის ჯარი მშვიდობიანობის დროს შესდგება 2516 აფიცრისა და 58,000 ჯარის კაცისაგან. ეხლა, ომის გამოცხადების შემდეგ, ბულგრეთმა ბრძოლის ველზედ გამოიყვანა 300,000 მეომარი, მშვენივრად მომზადებული და შეიარაღებული.

საბერძნეთი ამ მხრივ უფრო სუსტია. მშვიდობიანობის დროს საერთო რიცხვი ჯარის კაცთა არ აღემატება 25,000-ს. ოსმალებთან საბრძოლველად შეუძლიან გამოიყვანოს არა უმეტეს 70,000 კაცისა, ისიც სუსტად შეიარაღებული და მოუმზადებელი.

სერბიის ჯარიც ვერ დაუხვდა მძლავრად ამ ომს. მას შეუძლიან საზოგადოთ გამოიყვანოს საომრად მარტო 150,000 კაცი, მაგრამ აქედან $^2/_3$ უნდა უსათოდ ავსტრიის საზღვარზედ ჰყავდეს დაბანდებული და ოსმალების წინააღმდეგ ვერ გაიყვანს.

ჩერნოგორიას მუდმივი ჯარი არა ჰყავს. სამხედრო ძალა ჩერნოგორიისა მილიციონერებისაგან შესდგება ყოველი ჩერნოგორელი 50 წლამდე მოვალეა გამოვიდეს ომში. ეხლა ჩერნოგორელებს საბრძოლველად გამოჰყავთ კარგად შეიარაღებული და მამაცი 75,00 მეომარი.

საერთოდ სუყველა ბალკანეთის ერებს გაჭირვების დროს შეუძლიანთ გამოიყვანონ 800,000 მხედარი ოსმალეთის წინააღმდეგ, რომლის სამხედრო ძალა 1,400000 ჯარის კაცს უდრის მშვენივრად შეიარაღებულს და გაწრთვნილს.

ცელქი ქარი

თრთის და ცეკვავს, ცეკვავს და თრთის
ცელქი ქარი აქოჩრილ მთის;

ხან ტყის ყვავილს ჩამოურბენს
და ალერსით ტუჩზედ უკბენს,

ხან კი ტბატში მზის ნაწნავებს
მოარხევს და აბანავებს!...

* * *

შენს მარაოს, ჩემო კარგო, ჩემგან რომ გაქვს ნაჩუქარი,
აბა როგორ შევადარო ბუნების, ცელქი ქარი?!!...

ცის სინაზე, მიწის ლოცვა, და თვით ხალხის სიყვარული
შენის სულის ნაკარნახით ჩემს გულ შია დაფარული..

მაშ ნუ ელტვი ბუნების ქარს!. ჩემს გულს ყური
მოაპყარი:
აქ უსიტყვოდ ხტის და მღერის სიყვარულის
ცელქი ქარი!.

ი. **გრიშაშვილი.**

ნავთის სამეფო

წერილი III

ქართველობა ბაქოში.

დიდმა და პატარამ იცის, რომ ბაქო „ფულის ქალაქია“, ფულის საკურთხევლად გარდაქცეული. და თუ კი ვინმემ სამუშაოდ გარეულ გამოსვლა მოინდომა, ბაქოსკენ მოეშურება. ზღვით თუ ხმელე-

თით, დღითი დღე აუარებელი მუშა, სხვა და სხვა პროფესიის ხალხი მოდის ბაქოს მიდამოებში და ამ ჯოჯოხეთურ სამუშაოს აწყდება.

სხვას არც ქართველი მუშა ჩამორჩენია. ცხოვრების აუტანელმა პირობებმა იგიც მოსწყვიტეს საყვარელ სამშობლოს, მიწის შემუშავებამ ველარ დააკმაყოფილა ათასნაირი ხარჯები, გაჭირებამ წელში მოჰხარა და აადგმევინა ფეხი ლუკმა პურის საძებნელად.

ამ 15-20 წლის წინად ბაქოში თითო-ოროლა ართველს თუ შეხვდებოდით, ისიც სხვა და სხვა დაწესებულებაში მოსამსახურეს. ვაჭრობა-მრეწველობაში კი აქ ქართველის ჭაჭანებაც არ იყო. დღეს კი, როგორც მეორე წერილში ვამბობდი ბაქოში მცხოვრებთა რიცხვი 5000-ს აღემატება. მათ შორის უმრავლესობას შეადგენს მუშა, ხელოსანი და ვაჭარი; თუმცა ისტორიულად არა მრეწველ-ვაჭარს და ისიც უფულო ქართველს, აქ წინ ეჯახება და გზას უღობავს ფულიანი და გამოცდილი მეტოქე, მაგრამ მაინც მათ საქმე სასურველ ნიადაგზე დაუყენებიათ და დღეს შეძლებულ ქართველს აქ ბევრს შეხვდებით. ეს ფაქტი ნათლად გვიმტკიცებს, რომ ჩვენებურად თუ არ დავზანტ დებით და მოვინდომებთ, ჩვენცა გვქონია ფხა ვაჭრობასა და მრეწველობაში.

მუშის ფასი აქ ნავთის ქარხანებში 1905 წ. დეკემბრის პირობის ძალით, რომელიც შეიმუშავეს მუშათა და ბაქოს კაპიტალისტთა წარმომადგენელებმა პეტერბურგში, 25—30 მანეთია თვეში. ჯამაგირის გარდა მას ეძლევა ოთახი, საპონი, აბანო, ავადმყოფობის დროს ექიმი და წამლობა, რისთვისაც ბალახანაში და შავ-ქალაქში აგებულია საუცხოოდ მოწყობილი საავადმყოფოები 420 საწოლით. აქ მსახურობს 18 ორდინატორი. წლიური ხარჯი ამ საავადმყოფოებისა უდრის 300,000 მანეთს, რომელსაც ხარჯავს საგანგებოდ დაარსებული ნავთ-მრეწველთა საზოგადოება. უმთავრეს შემოსავალს ამ საზოგადოებისას შეადგენს ბაქოში ყოველი გაყიდული ფუთი ნავთიდან გადადებული 1 კაპეიკი.

ჩამოდის აქ ქართველი მუშა, უპატრონოდ და უთვისტომოდ დაყიალებს ამ უზარ-მაზარი ქალაქის ქუჩებში, ხან ერთს, ხან მეორე მხარეს აწყდება და ბოლოს, დიდი გაჭირების და ვაი-ვაგლახის შემდეგ, პოულობს სიხარბე გაათასკეცებულ მექარხნეს, რომელიც იცნობს ხამი მუშის ფსიხოლოგიას და შეატყობს თუ არა „ჯერ გარეულია“-ო ეუბნება:

„არა მაქვს სამუშაო“ ო. როდესაც ასეთი პასუხით გულ დათუთქული მუშა წასვლას დააპირებს, მექარხნე გაჩერებს და ეუბნება:

— რას იზამ, მეცოდები, მებრალები, გეტყობა მშიერი ხარ, მოდი იმუშავე, ჩემ საქმეზედ და დღეში ათ შაურს მოგცემ. და როცა მუშას ეს არ ეჭაშნიკება, დაუმატებს: მოდი ჭკუას ნუ წააგებ, თორემ შენზე იაფად სხვას ვამუშავებ. გაგონებული და დამშეული მუშა ჰყაბულდება და მოხერხებულ მექარხნეს ქსელში ებმის.

რამდენიმე თვეს მას შეუბრალებელად აძრობენ ტყავსა და როდესაც „შინაურდება“, გაიგებს აქაურ პირობებს, და სცდილობს ამ ხაფანგიდან თავის დახსნას, ბევრჯელ ქუჩაშიც გადააგდებენ. ხშირად ასეთი მოხერხებული მექარხნეც კი გაურბის ქართველ მუშას ადგილი მისცეს, რადგანაც ის შედარებით უფრო შეგნებულია. და შეგნებულ ადამიანს, ხომ ისე შეუბრალებლად ვერ გააძრობ ტყავს, როგორც საცოდაობისაგან გონებით დაჩაგრულს.

ამ სენით აქ თვით ქართველი კაპიტალისტებიც დაავადმყოფებულან. რამდენიმე ნავთის სამრეწველოა ქართველისა ბაქოს მიდამოებში და იქ სულ 20 ქართველ მუშას ვერა ნახავთ. დღეს, როდესაც სხვა ერების ყოველი ფეხის გადადგმაც კი ნაციონალურ ფარგალში იხატება, როდესაც ყველა თავისი ერის გაძლიერებას, მის წინ-სვლას, კულტურულად აღდგენას სცდილობს, აქაურ ქართველ კაპიტალისტებს ყოველივე ეს დავიწყებიათ და ქართველი მუშისათვის კარი ჩაკეტილი აქვთ სხვებზედ უარესად.

ერთი სიტყვით, ახლად ჩამოსული ქართველი მუშა, სანამ ალაგზე მოთავსდებოდეს, დიდ გაჭირებას და განსაცდელს განიცდის.

სულ სხვა პირობებშია აქა სხვა ერის მუშა. იგი არხეინად მიდის ბაქოსკენ, და ასე ადვილად არ უვარდება ხელში გაუმაძღარ კაპიტალისტს საკორტნავ-საჯიჯგნად. მისთვის აქ არსებობს სხვა და სხვა დაწესებულება, საზოგადოებანი, რომელნიც მიზნად ისახავენ მის მატერიალურ დახმარებას, გზა-კვალის გაკვლევას და სამუშაოს შოვნას.

„როგორ გაუყადრებ თავს, რა ჩემი ტოლია ვიღაც მიკიტანი, მედროგე, მედუქნე, თერძი, მუშა, ქუჩის მგველი“,—აი რას გაიძახის უმრავლესობა აქაური ქართველი ინტელიგენციისა. იგი გაურბის ამ „შავ ხალხს“ და არამც თუ საქმით

არ დახმარებია, ფიქრადაც კი არ უფიქრია ამ „შავი ხალხის“ ბედ-იღბალზე, მის მომავალზე. რაში ეპიტნავება მას სახალხო ეკონომიური ორგანიზაციები, საკოოპერაციო დაწესებულებანი? რად გაუწვდენს იგი ნუგეშის ხელს თავის მოძმეს, რომ იგი გამოიყვანოს საკაცობრიო ცხოვრების სარბიელზე. რა სარგებლობას მოუტანს მას ბაქოში ათას ალაგას დაფანტულ-დაქსაქსულ ქართველ მუშათა შეერთება, მათი მჭიდრო კავშირი, აწმყო-მომავალზე მათთან ბაასი. რაზე აიტკიოს აუტკივარი თავი ცხოვრებისაგან გალაღებულმა; რომელიც შესკუპულა ცხოვრების კიბის მაღლა საფეხურზედ და იქიდან მედიდურად დაჰყურებს გაჭირვებისა, უვიცობისა და ვაგლახისაგან დაბეჩავებულ ამ „შავ-ხალხს“.

შეიძლება მკითხველმა გაიხსენოს და მიგვითითოს ოდესღაც აქ არსებულ „ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებზედ“, ან „ქართულ საზოგადოებაზედ“. ამაზედ ჩვენ ვიტყვით, რომ მათი არსებობა უპატრონობის გამო ისეთი უდღეური და უარარაო იყო, რომ ლაპარაკი აქ მეტად მიგვაჩნია.

აქაურ ქართველთა შემაერთებელი ძარღვი ჯერ-ჯეროობით ერთად ერთი ქართული თეატრია, რომელიც მოქმედობს ქართველთა შ. წ. კ. გ. საზოგადოების ბაქოს ფილიალურ განყოფილების დროშის ქვეშ. ამ დაწესებულებებზე ჩვენ შემდეგ წერილებში გვექნება ბაასი.

ალ. ნ—ძე.

სეტყვასთან ბრძოლა

უხსოვარ დროიდან სეტყვა სოფლის მეურნეობისათვის დიდ უბედურებას წარმოადგენს. მაგრამ უკვე დიდი ხანია დაიწყო ადამიანმა ბრძოლა ამ სასტიკ მოვლენასთან. ჯერ კიდევ ბერძნები და რომაელები თავიანთებურის ყუმბარებით ებრძოდნენ მას.

საშუალო საუკუნოებში, სეტყვის ღრუბელი რომ გამოჩნდებოდა, ზარების რეკვას ასტეხდნენ ხოლმე. მაგრამ საშუალო საუკუნეშივე გამოგონილ იქმნა თოფის წამალი, რომელმაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ღრუბელთან ნამდვილ ბრძოლას. ეს იმას არა ნიშნავს, რომ საშუალო საუკუნოებში თანამედროვე მორტირებით ებრძოდნენ მას. მხოლოდ თანდათანობით და დიდის მეცადინეობის შემდეგ მივიდნენ ამ დასკვნამდე.

პირველად მე-XVIII-ე საუკუნეში იყო, რომ ღრუბელს თოფის წამლის საშუალებით დაუწყეს ბრძოლა. სიცილიელები და საფრანგეთის ზოგიერთი კომუნები პირველნი იყვნენ, რომლებმაც მიმართეს ამ საშუალებას. თოფის სროლა ჰაერში, თოფის წამლის აფეთქება, ცეცხლის დანთება—აი, ის პირველი ცდა, რომელსაც სეტყვის თანამედროვე ზარბაზნები მოჰყვნენ.

„ან ჩვენ უნდა მოვსპოთ ღრუბლები, ან ღრუბლები მოგვსპობენ ჩვენ“, ამბობდა ბოლონელი პროფესორი ლუიჯი ბომბიჩი და პირველმა გამოიგონა სეტყვის ზარბაზანი 1890 წ. რასაკვირველია, მის ასეთს გამოგონებას სიცილით შეხვდნენ. ყველაზედ მეტს კი არტილერისტები იცინოდნენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლუიჯი ბომბიჩის მიმბაძველნი გამოუჩდნენ და სულ საღაც 4—5 წლის განმავლობაში შტირიელმა ალბერტ ზიგერმა თავის სამშობლო ვინდიშ—ფეისტერიცში დიდ შედეგებს მიაღწია. მას წაჰბაძა მთელმა შტირიამ და ამ რიგად ლუიჯი ბომბიჩის ზარბაზნებით აივსო იგი.

ამ რიგად გამოგონილ იქმნა **სამეურნეო არტილერია**. 1897 წელს შტირიაში 35 პუნქტი იყო, სადაც სასეტყვო ზარბაზნებიიდგა; 1908 წ. ამისთანა პუნქტი უკვე 60-ს უდრიდა. იმავე 1908 წელს იტალიის პარლამენტის დეპუტატი ედუარდ ოტავი საგანგებოთ გაემგზავრა შტირიაში და იქ ნახულმა გააკვირვა. ის დარწმუნდა სასეტყვო ზარბაზნების ფასდაუდებელ მნიშვნელობაში და მხნედ შეუდგა იტალიაში სეტყვის ზარბაზნების გავრცელებას. იტალიელებმა მიჰბაძეს შტირიის მევენახეებს და მაშინვე დააარსეს ასეთი საბჭურები ვენეციაში, ემილიაში, ლომბარდიაში და პიემონტში. თუ რა სიხარულით შეხვდა იტალიელი მევენახე ამ გამოგონებას, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ ორი წლის განმავლობაში უკვე 2000 ზარბაზანი სჭექდა ღრუბლების წინააღმდეგ, ხოლო ერთი წლის შემდეგ ბარბაზნების რიცხვი 10,000 უდრიდა.

საქართველო მეურნეობის ქვეყანაა. მისი ბედი მეურნეობის წინსვლაზედ ჰკიდია. რა ზარალს აძლევს სეტყვა ჩვენ ქვეყანას,—აუწერელია. საუკეთესო ვენახები იღუპება სეტყვისაგან. და საყურადღებოა რომ საქართველო უკვე დაადგა შტირიისადა იტალიის გზას და კახეთში, ამ ყურძნის სამშობლოში, უკვე რამდე-

ნიმე სასეტყვო ზარბაზნის სადგური არსებობს. მაგრამ „რამდენიმე“ არაკ მარა. კახელი მევენახე არ უნდა მოერიდოს იმ, შედარებით პატარა მსხვერპლს, რომელსაც იწვევს სასეტყვო ზარბაზნის ყიდვა. მით უმეტეს რომ ყველა მევენახისათვის განსაკუთრებითი ზარბაზანი საჭირო არ არის. თითო ზარბაზნი 8—10 დესეტინა ვენახზედ საკმაო. თუ სოფელს ერთად, ვსთქვათ, ორმოცი დესეტინა ვენახი აქვს, ამ ორმოც დესეტინას ოთხი-ხუთი ზარბაზანი ეყოფა. სოფლის მევენახეთა შეერთებულ ძალას კი ამის შეძენა არ გაუჭირდება. საჭიროა, ამ აზრის გავრცელებას შეუდგეს ქართული სამეურნეო საზოგადოება და ამხანაგობა „კახეთი“. სოფლის ინტელიგენციაც უნდა დაეხმაროს მეურნეს ასეთ შემთხვევაში და მზად უნდა იყოს, ყოველთვის იქადაგოს მისი საჭიროება.

უდიდესი ნაწილი საფრანგეთის ეროვნულ სიმდიდრისა ვენახებშია ჩაყრილი. უბრალო სეტყვას შეუძლიან საფრანგეთს 150,000,000 ფრანკის წლიური ზარალი მიაყენოს. მაგრამ ასეთი ზარალი საფრანგეთში ეხლა შეუძლებელია. სამეურნეო არტილერია პირდაპირ **მომსპობია** სეტყვისა და ფრანგ მევენახეს იმისი აღარ ეშინიან, ვაი თუ მთელი წლის მოსავალი სეტყვამ ხელიდან გამომაცალოსო. უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებით 1909 წლიდან საფრანგეთმა აღარ იცის რა არის სეტყვა, ზარბაზანმა იგი ვენახისთვის უვნებლი გახადა.

სათეატრო ქრონიკა

18 ს დვინობისთვეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იყო შალიკაშვილის 4 მოქმედებიანი დრამა: „გადაჭრილი შუა“. ავტორს მიზანი კარგი ჰქონია, მაგრამ დრამას არავითარი მსტვრული გეშოვნების, არავითარი სასტენო სანამდვილის კვალი არ ეშჩნოდა.

იგი იმ უხეირო პუბლიცისტის ალბომსა ჰგავდა, ს

განცხადებანი

ქ. **გორში** გამოდის ყოველდღიური სალიტერატურო, სავაჭრო-სამეურნეო სასოფლო გაზეთი

„ქᲐᲠᲗᲚᲘ“

ყოველ-კვირეულ სურათებიანი დამატებით.

დᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ

წლიურად ეღირება	5 მ.
ნახევარის წლით	2 მ. 60 კ.
სამი თვით	1 მ. 50 კ.
ერთი თვით	45 კ.

უᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲝᲗ

წლიურად ეღირება	4 მან.
ნახევარის წლით	2 მ. 30კ.
სამი თვით	1 მ. 20 კ.
ერთი თვით	55 კ.

ცალკე ნომერი დამატებით ყველგან 5 კაპ. უდამატებოთ 3 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე—ერთი შაური. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა ორი მანეთი.

შენიშვნა: ა) გორში სტამბის მოუწყობლობის გამო პირველ ხანებში გაზეთი „ქართლი“ გამოვა კვირაში სამჯერ პატარა ზომისა და უდამატებოდ. შემოდგომიდან კი გაზეთი უფრო სრული, მოზრდილი და ყოველ დღიური იქნება.

რედაქტორ გამომცემელი **ი. ეკალაძე-ცინცაძე.**

მისამართი: **ქ. გორი, რედაქცია „ქართლი“ ი. ცინცაძეს.** ფული და მასალები მხოლოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს.

სᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა **1912 წლისათვ-ს.**

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და ამ სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

ენკენისთვიდან წლის დამლევამდე ღირს 3 მ.

თვეში ღირს 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისთვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲕᲚᲘᲡᲐᲛᲓᲔ.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი.

„ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი **„განათლება“** გამოდის ყოველ თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს სკოლებში და ოჯახებში.

ჟურნალი გამოდის დასურათებული.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

ხელის მომწერთათვის წლიურად ღირს **სიმი მანეთი** და **ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** (2 მან.); საზღვარ გარედ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი.

რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება **თბილისში** „ქ.-შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში. **ქუთაისში** წიგნებისა და გაზეთების კანტორა „იმერეთი“, ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილს იყიდება ცალკე ნუმრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинскаая Гимназія: Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვამე.

სტამბა კალანდაძისა გაბაანთ შესახ. № 4.